კანონიერ შემოსავლად ჩათვლება ლეგალური საქმიანობით (მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად დაბეგრილი), ლატარიაში მოგების ან დივიდენდების სახით, ანდა სხვა კანონიერი გზით, მათ შორის მემკვიდრეობით მიღებული შემოსავალი ან ნაჩუქარი სახსრები იმ პირობით, თუ ის აისახა გამჩუქებლის დეკლარაციაში და დეკლარაციის განახლებისას საჭიროების შემთხვევაში შემოსავალი დოკუმენტურად დასტურდება.

2.2. სისტემის მუშაობის არეალი და მასშტაბი

სისტემამ შეიძლება მოიცავს პრივატიზების პროცესში მყიდველად ცნობილი ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი, რაც თეორიულად მაქსიმუმ 6 მილიონ სუბიექტს შეადგენს, პრაქტიკულად კი მოსალოდნელია, რომ საწყის ეტაპზე სისტემაში ჩაერთვება რამოდენიმე ასეული სუბიექტი.

სისტემის დამახასიათებელი ერთ-ერთი საინტერესო თვისება ისაა, რომ რაც უფრო ნაკლები სუბიექტი და შესაბამისად ნაკლები სახსრებია ჩართული სისტემაში, მით უფრო მეტად არის დასაქონლებული სისტემაში მოქცეული თითოეული კუპონი.

ეს თვისება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სისტემა ზემოდან რაიმე ძალისმიერი ჩარევის გარეშე თვითონ ახდენს თავის სამოქმედო არეალში სულ უფრო მეტი სუბიექტებისა და სახსრების მოზიდვა-ჩართვას.

ფაქტობრივად ყოველი სუბიექტისათვის სასურველია დეკლარირებული სახსრების ქონა, რამეთუ ასეთი სახსრებით შეიძლება ძვირადღირებული საპრივატიზებო ქონების ნაკლები კონკურენციით ანუ მნიშვნელოვნად იაფად შეძენა. შესაბამისად თითოეული დეკლარირებული (ლეგალიზებული) კუპონი ძვირი ეღირება არადეკლარირებულთან შედარებით სწორედ იმდენად, რამდენადაც არასრულად იქნება ბრუნვაში არსებული დეკლარირებული სახსრები.

რაც შეეხება სისტემის სამოქმედო არეალში მოქცეულ ობიექტებს, აქაც საკმაოდ საინტერესო თვისება იჩენს თავს. მიუხედავად იმისა, რომ სისტემა მხოლოდ საპრივატიზებო ობიექტების შექენისას ითვლისწინებს აუცილებელ დეკლარირებას, სხვა სახის ფასეულობათა შექენისას მომხმარებლისათვის შესაძლებელია აუცილებელი გახდეს დეკლარირებული სახსრებით გადახდა თვით ამ ფასეულობების მესაკუთრეთა მოთხოვნის გამო. კერძოდ, სრულიად მოსალოდნელი და ლოგიკურია საკუთარი ბინის, ავტომანქანის თუ ძვირადღირებული სხვა ფასეულობის გაყიდვისას მესაკუთრემ ისურვოს სწორედ დეკლარირებული თანხის მიღება, რამეთუ მხოლოდ ასეთი თანხა გამოიყენება საპრივატიზებო ობიექტის შესაძენად. შესაძლოა გამყიდველი საერთოდ არ აპირებდეს პრივატიზების პროცესებში მონაწილეობას, მაგრამ იცის რომ ასეთი სახსრების მიღება უფრო სასურველია.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა: დეკლარაციების სისტემა ნაკლებად ითხოვს ზემოდან რაიმე მეურვეობას და დახმარებას,

შეიცავს მექანიზმს, რომლითაც ხდება როგორც სისტემაში მონაწილე სუბიექტებისა და სახსრების თვითმიზიდვა, ასევე დეკლარირებული თანხებით ასანაზღაურებელ ფასეულობათა არეალის თვითგაფართოება.

2.3. სისტემის ფუნქციონირებაში დაინტერესებული მხარეები და მათი მონაწილეობის აქტიურობა

დღეს, ჩვენი აზრით, არსებობს ძირითადად ორგვარი პოპულისტური ლოზუნგი:

პირველი: "ნუ გავზრდით ფასებს - ცოდვია ხალხი!"

ამ ლოზუნგს მხარს უჭერს საზოგადოების უდიდესი ნაწილი, უპირატესად მომხმარებელი, განსაკუთრებით კომუნისტური ორიენტაციის, უმეტესად კორუმპირებული და მათთან ერთად არცთუ იშვიათად კეთილსინდისიერად შემცდარი პოლიტიკური ძალები და ნაკლებად - სახელმწიფო სექტორში დასაქმებული მწარმოებელი.

ამ ლოზუნგის წინააღმდეგია მხოლოდ რეფორმატორული, ჯანსაღი პოლიტიკური ძალები, თავისუფალი ეკონომიკის სიკეთეთა გააზრებულად მცოდნე ეკონომიკური წრეები და კერძო მეწარმეთა ნაწილი.

ფიქსირებული, ხელოვნურად დაბალი ფასების შენარჩუნებას "აფინანსებს" ფიქსირებულ და საბაზრო (ანუ რეალურ) ფასთა სხვაობის ხარჯზე უზარმაზარი პირადი შემოსავლების მქონე სახელმწიფო მაფიოზური ძალები.

მეორე: "შევუმციროთ მწარმოებელს გადასახადი, რამეთუ ზარალდება ისევ სახელმწიფო - ცოდვია მწარმოებელი!"

ამ ლოზუნგს ხშირად მწარმოებელი უჭერს მხარს და ნაკლებად სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაზე პრაქტიკულად პასუხისმგებელი წრეები.

ვფიქრობთ ორივე ლოზუნგი მცდარია და მავნებელი როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოების ინტერესებისათვის, შთანთქავს უზარმაზარ რესურსებს, ეფექტს არ მოგვცემს და რაც მთავარია ჩაკლავს წარმოებას. მაგრამ აქვე აუცილებლად გასათვალისწინებელია ორივე ლოზუნგის ჯანსაღი საწყისები. მომხმარებელს უთუოდ უნდა შეეძლოს სასიცოცხლოდ აუცილებელი პროდუქციის მიღება, ხოლო მწარმოებლისთვის გადასახადის გადახდა სასურველი უნდა იყოს და მისი პროცენტული განაკვეთი უნდა შემცირდეს მას შემდეგ, როცა დასაბეგრი მოცულობები უფრო სრულად გამოვლინდება და გაიზრდება.

ეს მით უფრო შესაძლებელი იქნება, რაც უფრო სრულად გავათავისუფლებთ ფასებს, რაც უფრო ზუსტი იქნება ფინანსების ფაქტიური ბრუნვის ოფიციალური ანასახი, ანუ რაც უფრო სასურველი იქნება დასაბეგრი მოცულობების ლეგალიზაცია წარმოებისა და კომერციის სფეროში.

პრობლემის გადაწყვეტის საშუალებად მივიჩნევთ საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დეკლარაციების სისტემის გამოყენებით დროულად და გაბედულად გადასვლას.

ამასთან ძირითადად ვეძებთ რა გამოსავალს განაწილების, გაცვლასა და მოხმარების სფეროში, წინასწარ ვგრძნობთ ოპონენტების პროტესტს, რაც მოკლედ თუ ვიტყვით, გამოიხატება ჩვენი მხრივ წარმოების ე. წ. "პრიმატის" უგულვებელყოფაში. არ უარვყოფთ, ვეძებთ უსწრაფეს გამოსავალს, ყველაზე მანკიერ სფეროში. დროის ფაქტორი მიგვაჩნია უმნიშვნელოვანესად, ხოლო წარმოების ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ამაღლება წარმოების სფეროს გლობალური პრივატიზების გარეშე შეუძლებლად გვესახება. გლობალური პრივატიზება მნიშვნელოვან დროს მოითხოვს, იქიდან მიღებული ეფექტი კიდევ უფრო ხანგრძლივი დროის საქმეა, ამ პროცესების ხელოვნური დაჩქარება კი დაუშვებლად მიგვაჩნია. ამასთან, რა თქმა უნდა, წარმოების სფეროს დაბალეფექტიანობა ქმნის პროდუქციის ნაკლებობას, მაგრამ თვითრეგულირებადი ეკონომიკის პირობ-

ებში, ჩვენზე ბევრად დაბალეფექტიანი წარმოების მქონე ქვეყანაშიც კი ეს არ იწვევს დეფიციტს ჩვენული გაგებით, არ აისახება ცარიელ დასლებად და უზომო რიგებად. ეს ხერხდება ჩვეულებრივი, კომერციულად სწორი ფასებით. ხალხი არ ცდება. იცის, რომ რაც ცოტაა - ის ძვირია. არსებული სიკეთე მოიხმარება რაციონალურად. ე. წ. "საპეულაციური ფასი", ვფიქრობთ, სხვა არაფერია, თუ არა ამა თუ იმ საქონელსა და მომსახურებაზე "გაანგარიშებით" დადგენილ ფასზე უფრო სწორი ფასი. ფასდამახინჯების ჩვენთვის ჩვეული გაგება ლაკონურად ასახავს ფართო ფენებში დამკვიდრებული ეკონომიკური აზროვნების უკუღმართობას.

2.4. სახელმწიფო ორგანოების დირექტიულობის დონე სისტემის ამოქმედებისათვის

სისტემის ამოქმედება საჭიროებს დირექტიულობის ტექნიკურად მინიმალურ დონეს, მაგრამ უთუოდ უმაღლეს პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ნებას.

პრაქტიკულად საჭიროებს ძირითადად 2.1 პუნქტში ასახული შინაარსის დირექტიულ ნორმატიულ დოკუმენტს, სათანადო სამსახურის შექმნას, რომელიც უფლებამოსილი იქნება შექმნას სათანადო ინსტრუქციები და სხვა, პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები.

სისტემის არსებულ რეალობაში ასამოქმედებლად საკმარისია 700 - 750 ადამიანი სულ 10 - 15 მილიარდი დღევანდელი კუპონი წლიური ხელფასით, პროცესის მომსახურე თითოეულ საბანკო დაწესებულებაში თითო და მმართველობის ყოველ ადგილობრივ (რაიონულ) ორგანოში ორ-ორი საიმედოდ დაცული ოთახი, აღჭურვილი საერთო ანგარიშით 450-მდე ერთეული კომუნიკაციის საშუალებით (ტელექსით ან თუნდაც ტელეგრაფით ან ტელეტაიპით).

ამ მიზნის მისაღწევად ცნობილია სხვა უნაღდო ანგარიშსწორებაზე ან ელექტრონულ ფირფიტებზე აგებული მექანიზმი, რომელიც იგივე შედეგს იძლევა და სრულიად რეალური და იოლად გასატარებელია.

მნიშვნელოვანია აგრეთვე 2.2 პუნქტში ასახული თვისებები. აქ, ვფიქრობთ, ნათლადაა გამოკვეთილი დეკლარაციების სისტემის ქმედითობის, თვითგაფართოებისა და ზემოდან რაიმე განსაკუთრებული მეურვეობის გარეშე სიცოცხლისუნარიანობის გარანტიები.

ამავე დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სისტემა მოქმედებს დამოუკიდებლად და ყველა სხვა თანაბარ პირობებში (მიუხედავად იმისა თუ რამდენად ღრმა და ყოვლისმომცველია აუცილებელი სტრუქტურული გარდაქმნები და რეფორმები), ავტონომიურად წყვეტს მის წინაშე მდგარ ამოცანებს.

III. დეკლარაციების სისტემის მუშაობის გარანტიები

სრულიად იდეალურიც რომ იყოს შემოთავაზებული წინადადება, კაპიკია მისი ფასი თუ უმაღლეს სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ დონეზე არ იქნა მიღებული მის განსახორციელებლად აუცილებელი სასტარტო გადაწყვეტილება და ამ სასტარტო გადაწყვეტილების შემდგომ ეტაპზე პრინციპული უცვლელობის გარანტია.

ამგვარი მასშტაბური ღონისძიების ცხოვრებაში გატარება, მით უმეტეს, რომ პირდაპირი ანალოგია (კომპლექსში) არ არსებობს, საჭიროებს მძლავრ პოლიტიკურ ნებას და შესაბამის პასუხისმგებლობას.

IV. სისტემის ეფექტიანობის პროგნოზირება და შეფასება

4.1. კრიტერიუმში, რითაც შეიძლება შეფასდეს ამ სისტემის ფუნქციონირება

სისტემის ეფექტიანობა შეიძლება შეფასდეს დასაბეგრი მოცულობების და ბიუჯეტში ანარიცხების ზრდით.

ამჟამად, ვფიქრობთ, წარმოების რეალური მოცულობისა და შემოსავლის დამალვის (მათ შორის პროდუქციაზე ხელოვნურად დაბალი ფასების დადგენით), ამავე დროს ხარჯების ამსახველი ოფიციალური მონაცემების ზრდით საერთო ჯამში სულ ცოტა 50-ჯერ მაინც არის შემცირებული დასაბეგრი მოცულობები.

რეზერვი დიდია და არა თუ სრულად, არა თუ 50-ჯერ, სულ მცირედი ეფექტი, დასაბეგრი მოცულობის 3-ჯერ ზრდაც რომ მოგვეცეს დეკლარაციების სისტემამ, ბიუჯეტის დეფიციტი დაძლეული იქნება. ყოველი შემდეგი ზრდა კი საშუალებას იძლევა შევამსუბუქოთ მოქმედი ბეგარის სიმძიმე და წავახალისოთ სამეწარმეო საქმიანობა.

შედგად ნათლად იკვეთება ფინანსური სტაბილიზაციისაკენ (დღეს საწინააღმდეგო მიმართულების მქონე) მიმავალი სპირალის კონტურები.

4.2. რა შედეგებს მოგვცემს ეს სისტემა?

- პოლიტიკური არსით მომგებიანია. მრავალრიცხოვან წერილებში ხალხი მოითხოვს ისეთ ცვლილებებს ჩვენს პრაქტიკაში, რომლის საფუძველზეც ნათელი იქნება მატერიალური უზრუნველყოფა ეყრდნობა თუ არა კანონიერ და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით მიღებულ შემოსავალს.

- ეს აღარაა ნახევარზომა. იგი მეტწილად ზღუდავს მატერიალურ ფასეულობათა განაწილების მექანიზმში მოსალოდნელ გადახრებს;

- მკვეთრად გაზრდის კანონიერად მიღებული ფულის ფასს. მეტად სასურველს გახდის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით საქმიანობას;

- ანალოგიური ეფექტის მქონე უნაღდო ანგარიშსწორების სისტემისა და ელექტრონული ფირფიტების გამოყენებისაგან განსხვავებით პრაქტიკულად არ ცვლის ანგარიშსწორებაში პირადი ფულადი სახსრების გამოყენების ჩვეულ ფორმას;

- თანდათანობით, კონტროლის ზოგიერთი ფორმისაგან წარმოების განთავისუფლებასთან ერთად, გაამარტივებს აღრიცხვას, მართვას. სახელმწიფოსათვის ბევრად უმეტყვენულოს გახდის რიგი მაკონტროლებელი და მმართველობითი აპარატების შემცირებისა და გაუქმების პროცესს ანუ შეამცირებს ბიუჯეტის ხარჯების ნაწილს;

- როგორც ზემოთ აღინიშნა, თუ გამოვლინდება შემოსავალთან "შეუსაბამო" ხარჯვის ფაქტი, მას მოყვება შესაბამისი ფასეულობის კონფისკაცია, ჯარიმა და გამოვლენის გარდუვალობის ამალგებით შერბილდება სასჯელის ზომის სიმკაცრე;

- იურიდიული და ფიზიკური პირისთვის უფრო მომგებიანი იქნებოდა დადგენილი ბეგარის გადახდით, მეტი სისრულით მოახდინოს შემოსავლისა და მოგების ლეგალიზაცია. მით უმეტეს, რომ შემოსავლის ზომა რაიმე "ჭერით" აღარაა შემოსაზღვრული, ხოლო მოსალოდნელი პრივატიზების პროცესში მხოლოდ დეკლარაციაში ასახული ანუ კანონიერი თანხები მიიღებს მონაწილეობას;

- განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმ მომენტს, რომ აღრიცხვიდან დამალული ფულადი სახსრების მყიდველუნარიანობა მკვეთრად დაქვეითდება და ლარის შემოღებით შიდა ბაზარზე საერთოდ გაუქმდება, ვინაიდან თითოეული მიიღებს დეკლარირებული ოდენობით თანხის გამოცვლის უფლებას ფაქტიურად გამოცვლილი თანხის დაფიქსირებით;

- გააჯანსაღებს მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატს, ვინაიდან მოხსნის უსაფუძვლო ეჭვს და ამავე დროს შიდა ბაზარზე პოლიტიკურად შეზღუდავს იმ ძველ

თუ ახალ ფუნქციონერს, რომელიც ისურვებს უზომოდ დიდი და უდავოდ მითვისებული იმ თანხის დეკლარირებას, რომლის ფლობის კანონიერი საფუძველი მას არა აქვს. ამასთან, სიმდიდრე იქნება დიდი ნიჭიერებისა და პატიოსანი პროფესიონალიზმის ნიშანი.

4.3. სხვა მოსალოდნელი შედეგების პროგნოზი და მათი მნიშვნელობები

მოსალოდნელია, რომ არადეკლარირებული, ასე ვთქვათ, "მარცხენა ფული" სახელმწიფო სექტორში ფასის განთავისუფლებით დააწვება საკლამენტურნო ბაზარს, უზომოდ აიწვევა პროდუქტისა და საერთოდ იათადლირებული ანუ სისტემის გავლენის სფეროს გარეთ მოქცეული, უმეტეს წილად პირველადი მოხმარების საქონლისა და მომსახურების ფასი.

ამას სისტემის ნაკლად ვერ ჩავთვლით და შევეცდებით ავხსნათ რით არის ეს პროცესი ჩვენთვის სასურველი. როგორც აღინიშნა, ფასები გაიზრდება, მაგრამ გადახდისუნარიანი მოთხოვნილების ფარგლებში და თანაც იმდენად, რამდენადაც ეფექტურად იმუშავებს დეკლარაციების შემოთავაზებული სისტემა. კვების პროდუქტებზე ფასების ზრდა გამოიწვევს რესპუბლიკის ფარგლებს გარედან მათ შემოზიდვას (ვერავითარი საბაჟოები მათ ვერ დააკავებს), შიდა გლობური მეურნეობის მომქლაკრებას, მათი შემოსავლების ლეგალიზებას, პროდუქციის რეალიზაციას სახელმწიფო ვაჭრობის დღეისათვის მოცდენილ სექტორში. რიგები გაქრება. ამასთან ფასთა სხვაობის გამო შემოტანილი უხვი პროდუქტი შეამცირებს მათი ფასის ზედრით წილს საზოგადოების ლეგალიზებული ფულადი შემოსავლების პროპორციულად.

ამასთან, მიუხედავად უღობველი ბუნებისა, ფასების ლიბერალიზაცია (და არა ფიქსირებული ზრდა, რასაც რატომღაც ხშირად ფასის განთავისუფლებასთან ვაიგივებთ და რამაც ასტრონომიულ ციფრებთან მიგვიყვანა!) აუცილებლად გასათავისებელია ქვეყნისათვის და ძალიანაც რომ ვეცადოთ, წინ ვერ აღვუდგებით. ყოველი მხრიდან შეილახება ჩვენი ეკონომიკური ინტერესები და ვერავითარი საბაჟოები, აწყობილიც რომ გვექონდეს, დამანგრეველი პროცესებისგან ვერ დაგვიცავს. პირიქით, ბალტიისპირეთის ცოცხალი მაგალითი უკვე სახეზეა - ძირითადად სწორედ ფასების ლიბერალიზაციის გამო რუსეთი ყველაფერს აკეთებს მათთან საზღვრების ჩასაკეტად, მაგრამ დოვლათის გადინების შეწყვეტა უჭირს.

მოსალოდნელია, რომ ადვილი იქნება დეკლარირებული სახსრების არადეკლარირებულ სახსრებზე გაყიდვას.

მოსალოდნელია, მაგრამ ფიქრობთ აქ არაფერია გასაკვირი და მით უფრო უარყოფითი. ეს მიუთითებს, რომ დეკლარირებული ანუ წესიერი წარმოშობის ფული მით უფრო ძვირი ეღირება, რაც უფრო ეფექტიანი აღმოჩნდება სისტემა. იგი ვალუტად იქცევა არაკანონიერი წარმოშობის ფულთან შედარებით და მის მფლობელს გაუჩენს სოციალური დაცვის დამატებით წყაროს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ სახსრების მფლობელი თავს არიდებს დეკლარირებას, ანუ ბიუჯეტთან ურთიერთობას, მას მართალია ბიუჯეტის გვერდის ავლით, მაგრამ მაინც უწევს მოსახლეობის იმ ნაწილის სოციალური დაცვის ხარჯების გაწევა, რომლებიც ფლობენ დეკლარირებულ სახსრებს და რომლისგანაც შეიძენს მათ იმ პროპორციით, რა პროპორციასაც დაადგენს ამ სახსრების მესაკუთრე პირი და შესაბამისი ბაზარი.

ამასთან, თუ მწარმოებლების დიდი ნაწილი თავს შეიკავებს შემოსავლების ლეგალიზებაზე, ძვირფასი საწარმოო საშუალებები ბევრად იათად ჩაუვარდება ხელში მათ, ვინც მოახდენს შემოსავლების დეკლარირებას. თითოეული ასეთი პრეცედენტი მძლავრი სტიმული იქნება იმისა, რომ დაჩქარდეს დასაბეგრი მოცულობების ლეგალიზების პროცესი და შეიქმნას გარდამავალ პერიოდში სასურველი მძლავრი ბიუჯეტი.

- მოხალოდნელია, რომ ბინები, მანქანები, პრესტიჟული ნივთები გაყიდება არადეკლარირებულ ფულზე, ასე ვთქვათ ხელიდან ხელში.

მოხალოდნელია და დღესაც ასე ხდება. ბინა იყიდება მილიონად და გაყიდვა ფორმდება 100 ათასად. სისტემის ამოქმედების შემთხვევაში გამყიდველი შეეცდება კუთვნილი ფასეულობის გაყიდვით მიიღოს მაქსიმალურად მეტი ოფიციალურად გაფორმებული შემოსავალი, რომ ფულის ნიშნის შესაძლო გამოცვლის შემთხვევაში არ იზარალოს.

- მოხალოდნელია, რომ ზოგმა შეიძლება თავიდანვე განაცხადოს ბევრად მეტი თანხა, ვიდრე გააჩნია.

ვფიქრობთ ამის შეზღუდვა იოლად შეიძლება. ჩვენი აზრით, საკმარისად მაშინ თლიანი იქნება, თუ, ვთქვათ, დადგინდება ერთჯერადი გადასახადი, რომლის მიხედვითაც დეკლარირებულ 20 მილიონამდე თანხაზე გადაიხდება 0,5%, 20 მილიონიდან 50 მილიონამდე განმცხადებელი ბიუჯეტში გადაიხდის 2 პროცენტს, 50 მილიონიდან 100 მილიონამდე -5%-ს, 100-დან 500 მილიონამდე 10%-ს, 500 მილიონიდან 1 მილიარდამდე - 20%-ს და ერთ მილიარდს ზემოთ დეკლარირებულ თანხიდან - 25%-ს.

შესაბამისად დეკლარირებულ ვთქვათ 1800000000 კუპონზე განმცხადებელი ბიუჯეტში შეიტანს

$100000+600000+2500000+40000000+100000000+200000000=343200000$
 კუპონს, რაც ვფიქრობთ ძვირი სიყალბე იქნება, ხოლო დეკლარირებულ, პირობითად 1000000 კუპონზე 0,5%-ის ანუ 5000 კუპონის გადახდა ძნელი არ იქნება.

- დამაფიქრებელია, რომ ადრე, საკავშირო მთავრობის მიერ შემოთავაზებულმა დეკლარაციების სისტემამ არავითარი ეფექტი არ იქონია.

ვფიქრობთ ვერც იქონიებდა, ვინაიდან მისი საბოლოო მიზანი გაურკვეველი იყო, ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა და არ იყო სისტემური მეთოდოლოგიის ნაყოფი. სერიოზული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ხსენებული ღონისძიება გატარდა უფრო ასეთი მიდგომის დისკრედიტაციის და არა მისი საზოგადოებისათვის სასიკეთოდ გამოყენების მიზნით.

სახელმწიფოს მხრიდან სათანადო მხარდაჭერის შემთხვევაში, შემოთავაზებული სახით დეკლარაციების სისტემის დანერგვა ეფექტს აუცილებლად იქონიებს, ცივილიზებულ საბაზრო ურთიერთობებზე დაჩქარებული და თანაც ჩვენი ეკონომიკისათვის და პოლიტიკისათვის სასარგებლო და ნაკლებად მტკივნეული გადასვლის სხვა გზები გამოკვეთილად არა სჩანს.

- დეკლარაციების სისტემის შემოღებით მოხალოდნელია სახსრების გადაზიდვა იმ რესპუბლიკებში, სადაც შეზღუდვები არ არის და ერთიანი ფულის ნიშნები მოქმედებს.

დიხს შესაძლებელია მოხდეს ფულის გადადინება, მაგრამ ისმის მეორე კითხვა, რომელი ფულის? თუ მივიღებთ, რომ ჩრდილოვან ეკონომიკაში მოძრავი ანუ არალეგალიზებული ფული დიდად აკნინებს სახელმწიფო საფინანსო სისტემას და თანდათან უფრო ჩქარი ტემპით მოქმედებს, მაშინ ეს პროცესი დადებითად უნდა შეფასდეს. ამასთან ერთად უნდა ვიფიქროთ, რომ სხვა რესპუბლიკებშიც, ისევე, როგორც ბალტიისპირეთში, უკრაინაში და სხვ. მივლენ იმ დასკვნამდე, რომ უნდა შემოიღონ რაღაც შეზღუდვები საკუთარი ბაზრის დასაცავად, მაგრამ საბოლოოდ გაიმარჯვებს ის ქვეყანა, რომელიც უფრო მომზადებული შეხვდება ამ გარდუვალ პროცესს.

V. დასკვნა

ჩვენი აზრით ეს არის არსებულ რეალობაში, ამ ეტაპზევე ქვეყნის ეკონომიკის შედარებით მოწესრიგების კონკრეტული, უმტკივნეულო და, რაც მთავარია, მეურ-

ნეობრიობის ცივილიზებულ ფორმებთან სრულიად თავსებადი მექანიზმი. იგი ხელს შეუწყობს ამ ეტაპზე საბაზრო ურთიერთობების დადებითი მომენტების გადაუდებლად განხორციელებას და რაც მთავარია, თანხლები ძირითადი პრობლემების დაძლევას.

არაპირდაპირი შედეგები გააზრებულია და იმედია, რომ განგვაწყობს ყველაფრის გათვლა ვფიქრობთ არც არის აუცილებელი. იმედი მექანიზმის თვითმართვად და თვითრეგულირებად ბუნებაშია.

System of Declarations as the Necessary State for Establishing Market Economics in Georgia

P.Gadzadze

P.Gugushvili Institute of Economics
 of Georgian Academy of Sciences

Summary. In the integral system of economic reforms co-ordination of monetary mass circulating in the country and the volume of the legalized financial resources possessed by the population and private economic subjects plays important role. This is of great importance to the extent that the sources of the state budgetary incomes need expansion at the expense of a real taxation area. The present work offers one of the concrete economic mechanisms for the direction of illegal financial resources towards the official channels.

The stated mechanism provides opportunity to all existing sources to participate freely in privatization process in case the owners of these resources declare about them in due manner, in case they make declarations of their sources and obtain permission on the purchase of property. It will become an initial stimulus for the declared resources to get more weight and value compared with other resources. The process shall inevitably be followed by a chain reaction of preferential application of namely the declared resources in other spheres of use of finances.

Starting of the presented mechanism does not imply using strict instructions in economics against those persons who will not declare about existence (and not of origin) of personal, private resources.

Flexible scale of taxation will start functioning itself as a result of favouring expansion of the legalization process.

Introduction of the afore presented mechanism of the system of declarations namely in the initial stage of privatization would have been most important. Though, analogous system may be elaborated for universal cycle of purchase and sale of goods and services. This will form one of the stimulus for declaring resources.

Starting of such form of the system of declarations will expend the scales of the areas to be taxed, absolute volume of budgetary income. It will favour elaboration of culture of paying taxes which in its turn will contribute to the process of sanitation of the economics.

Система деклараций - обязательный этап установления рыночной экономики в Грузии

П.Гадзадзе

Институт экономики им. П. Гугушвили
АН Грузии

Резюме. В единой системе экономических реформ особое место занимает соответствие объема легализованных финансовых ресурсов денежной массы, находящейся в обороте страны и имеющейся у населения и субъектов частной экономики. Это настолько обязательно, насколько требует расширения источник доходов государственного бюджета на основе реальной зоны налогообложения. В труде представлен один из конкретных экономических механизмов обращения нелегализованных финансовых ресурсов в официальные каналы.

Указанный механизм подразумевает возможность свободного участия в процессе приватизации всех существующих ресурсов только в том случае, если владелец этих ресурсов в установленном порядке сделает заявление, декларацию о собственных источниках и получит право на приобретение государственного имущества. Это станет исходным стимулом для того, чтобы декларируемые ресурсы приобрели большой вес и цену по сравнению с другими ресурсами. За этим процессом обязательно последует цепная реакция преимущественного использования финансов.

Приведение в действие представленного механизма вовсе не подразумевает применения строгих директивных мер в отношении тех лиц, кто не объявит о существовании (а не о происхождении) собственных средств. Гибкая шкала налогообложения начнет функционировать при содействии расширения процесса легализации.

Внедрение указанного механизма системы деклараций было бы наиболее эффективным именно с начального периода приватизации, хотя аналогичная система может быть разработана для всего цикла купли-продажи товара и услуг. Это станет одним из стимуляторов декларирования средств.

Введение в действие системы деклараций в таком виде расширит масштабы в зоне налогообложения, абсолютный объем доходов бюджета, выработает культуру уплаты налогов среди предпринимателей, что в итоге будет содействовать оздоровлению экономики.

წესები ავტორთათვის

1. ჟურნალში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე: ეკონომიკის სერია, ქვეყნდება ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, სტატიები რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას თანამედროვე მოწინავე ეკონომიკური მიმართულებების თეორიული და პრაქტიკული კვლევების შედეგების შესახებ. პერიოდულად იბეჭდება რეცენზიები, აგრეთვე იმ კონფერენციების, სხდომებისა და სხვა სამეცნიერო-ორგანიზაციული ღონისძიებების ქრონიკები, რომლებიც რესპუბლიკაში ტარდება.

2. რედაქციაში გამოგზავნილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის მიერ, თანავტორობის შემთხვევაში კი - ყველა თანავტორის მიერ, სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხის და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ტელეფაქსის, ტელექსის მითითებით.

3. სტატიის მოცულობა, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი, რეზუმე ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე არ უნდა აღემატებოდეს ნაბეჭდი ტექსტის 24 გვერდს, რომელიც დაბეჭდილია 2 ინტერვალთ. მარცხენა მხარეს დატოვებული უნდა იყოს 4 სმ სიგანის მინდორი.

რეზუმე, გამოყენებული ლიტერატურის სია, ცხრილები და ნახატების მიწვევები სრულდება ცალკე ფურცელზე.

მოკლე მოხსენებების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 7 ნაბეჭდ გვერდს.

რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ეგზემპლარად. ხელნაწერის ყოველი გვერდი, ლიტერატურის სიის ჩათვლით, უნდა იყოს დანომრილი.

4. ილუსტრაციები (ორ ეგზემპლარად) ცალკე უნდა ახლდეს ნაშრომს. ნახაზები და გრაფიკები შესრულებული უნდა იყოს მკაფიოდ ტუშით, კალკაზე ან მილიმეტრიან ქაღალდზე. ფანქრით შესრულებული, ტექსტში ჩახაზული, ან ხელნაწერზე დაწებებული ნახაზები არ მიიღება. აუცილებლად უნდა მიეჭკეს ყურადღება აღნიშვნების იდენტურობას ტექსტში და ნახაზზე. ყველა მინაწერი, რომელიც ფრავს ნახაზს უნდა შეიცვალოს ციფრობრივი, ან ასოითი აღნიშვნით, განმარტებები კი ჩამოტანილ იქნეს ნახაზის მინაწერში.

5. ყოველი ილუსტრაციის მეორე მხარეს აღნიშნული უნდა იყოს მისი რიგობრივი ნომერი და ავტორების გვარები.

6. ფორმულები და განმარტებები თუ ჩაწერილია ხელით უნდა შესრულდეს გარკვევით. ინდექსის ჩაწერისას კარგად უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან შტრიხი, ერთიანი და მძიმე. ფორმულების ჩაწერისას კარგად უნდა ჩანდეს განსხვავება დიდ და პატარა ასოებს შორის: თუ მათ ერთნაირი მოხაზულობა აქვთ დიდ ასოს ფანქრით უნდა გავუსვათ ხაზი ქვემოდან (მაგ. X). განსაკუთრებით ზუსტად უნდა ჩაწეროს ერთმანეთის მსგავსი ასოები (d და q, l და i, u და n და სხვა).

7. ლიტერატურის დასახელება უნდა მოთავსდეს სტატიის ბოლოს ერთიანი სიის სახით (რეცენზიებში, რომლებიც უნდა გამოქვეყნდეს რუბრიკით კრიტიკა და ბიბლიოგრაფია ლიტერატურა დასახელებდა გვერდის სქოლიოში).

წიგნებისათვის უნდა დავიცვათ შემდეგი თანმიმდევრობა: ავტორის გვარი და ინიციალები, წიგნის დასახელება, ტომი, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი.

საჟურნალო სტატიისათვის - ავტორის გვარი და ინიციალები, სტატიის დასახელება, ჟურნალის დასახელება, წელი, ტომი, ნომერი (გამოშვება).

ლიტერატურის ნომერი სიაში შეესაბამება ტექსტში მათი მოხსენიების რიგს. ტექსტში ლიტერატურის დასახელებისას უნდა აღინიშნოს მისი რიგითი ნომერი (მაგ. [3]). ლიტერატურის სიაში ყოველი წიგნის ბიბლიოგრაფიული აღწერა ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს წიგნის (ჟურნალის) სატიტულო ფურცელს.

8. ავტორთა საყურადღებოდ რედაქცია აღნიშნავს, რომ სტატიის ტექსტსა და ნახატებს უნდა ჰქონდეს მინაწერი დასაბეჭდად. როგორც წესი კორექტურა ავტორებს არ ეგზავნებათ.

9. სასურველია სტატიაში აღინიშნოს რითი განსხვავდება მიღებული შედეგი ადრე ცნობილისაგან.

10. ჟურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში შემოსულას რიგის მიხედვით. თუ რედაქცია დააბრუნებს სტატიას გადასამუშავებლად, სტატიის წარმოდგენის თარიღად ითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი. ჟურნალის ერთ ნომერში შეიძლება ავტორის ერთი სტატიის ან ერთი მოკლე შეტყობინების გამოქვეყნება.

11. სტატიის გამოქვეყნებაზე უარის თქმის შემთხვევაში რედაქცია უფლებას იტოვებს არ დაუბრუნოს ავტორს ერთი ეგზემპლარი.

12. ხელნაწერები რომლებიც არ უპასუხებს ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს რედაქციის მიერ არ მიიღება.

INSTRUCTION TO AUTHORS

1. The journal "Proceedings of the Georgian Academy of Sciences: Economic Series" publishes articles in Georgian, Russian and English, which includes the results of theoretical and applied research in leading trends of modern economic sciences. Periodically published reviews, chronicles of conferences, meetings, seminars etc. held in the Republic.

2. An original article sent to editorial board must be signed by all authors, providing names, first names, position, degrees, titles, full address, telephone, fax and telex.

3. Volume of an article, list of references and summary in Georgian, Russian and English should not exceed 24 typewritten lines with double spacing. On the left hand side 4 cm margins should be left.

Summary, list of references, tables and signs under illustrations should be submitted separately.

A volume of short notes should not exceed 7 typewritten lines.

Two copies of papers should be sent to the publisher. All pages of manuscripts, including references should be numbered.

4. Illustrations (two copies) should be submitted separately.

Drawings and drafts should be filled legibly with indian ink on tracing paper or squared paper. Drafts in pencils, drawn in texts or pasted onto manuscripts are not accepted. It is necessary to keep an eye on exact accordance of designations in texts and drafts. All legends, overloading drafts should be substituted by figures or letters, explanations of them should be moved to inscriptions under illustrations.

5. On the back of each illustration it's ordinal number and authors' names should be written down.

6. Formulas and designations should be handwritten by ink, legibly, large and loosely. Subindexes should be avoided as far as possible.

When marking indexes it is necessary to differ strokes and numeral-units from commas.

When writing formulas it is necessary to differentiate strictly between small and capital letters. This requirement is applied especially to the letters of the same inscription distinguishing only by their size: capital letters are underlined with line below (for example, X).



It is necessary to write carefully, the letters looking alike (g and q, l and e, u and n etc.).

7. Literature is listed as a general list at the end of an article (in the reviews published in the section "Criticism and Bibliography" literature is given in footnotes) in the following order: books, 1st 2nd and 3rd names of the author, title of the book, place of publication, publishing house, year of publication.

Journal articles: books, 1st, 2nd, 3rd names of the author, articles's title, year of publication, volume, issue.

Literature is listed following the sequence of references in the text of an article. References in the text of an article are given in parentheses. A bibliographic discription of each title in the list of literature must correspond strictly to the title-page of a book or a journal.

8. The editorial staff calls your attention to the fact that a typed text and drawing ready for type-setting signed "ready for printing" and proof-sheets for reading, as a rule, are not sent back to authors.

9. It is advisable to mention in an article the distinctive features of the given result from all the others already known.

10. Articles are published in succession of their receiving by the editorial staff. If an article is sent back to the author for revision, the date of receiving the final text is regarded as the date of submission for consideration. In one issue of a journal only one article or one brief report of an author is published.

11. In case of a refusal to publish an article, the editorial staff reserves the right not to return one copy of an article to author.

12. The manuscripts not meeting these requirements are not taken for consideration by editorial staff.

ПРАВИЛА ДЛЯ АВТОРОВ

1. В журнале "Известия АН Грузии: серия экономическая" публикуются статьи на грузинском, русском и английском языках, в которых содержатся результаты исследований теоретического и прикладного характера по ведущим направлениям современной экономической науки.

Периодически публикуются рецензии, хроника о конференциях, совещаниях, семинарах и других научно-организационных мероприятиях, проводимых в республике.

2. Направленный в редакцию оригинал статьи должен быть подписан автором, а в случае соавторства - всеми соавторами с указанием фамилии, имени, отчества, места работы, ученой степени и звания, полного почтового адреса и телефонов, телефаксов, телексов.

3. Объем статьи, список использованной литературы, резюме на грузинском, русском и английском языках, не должны превышать 24 страниц машинописного текста, отпечатанных через два интервала. С левой стороны оставляются поля шириной 4 см.

Резюме, список использованной литературы, таблицы и подписи к рисункам исполняются на отдельных листах.

Объем кратких сообщений не должен превышать 7 страниц машинописного текста.



Статьи представляются в редакцию обязательно в двух экземплярах. Все страницы рукописи, включая литературу, должны быть пронумерованы.

4. Иллюстрации (в двух экземплярах) прилагаются к рукописи отдельно. Чертежи и графики должны быть выполнены четко, тушью на кальке или миллиметровой бумаге. Чертежи, выполненные карандашом, вычерченные в тексте или приклеенные к рукописи не принимаются. Необходимо тщательно следить за точным соответствием обозначений в тексте и на чертежах. Все надписи, загромождающие чертеж, должны быть заменены цифровыми или буквенными обозначениями, а объяснения к ним вынесены в подпись к рисунку.

5. На обороте каждой иллюстрации должны быть проставлены ее порядковый номер и фамилии авторов.

6. Формулы и обозначения должны быть вписаны от руки чернилами, свободно, четко, крупно; следует по возможности избегать субиндексов.

В начертании индексов следует четко отличать штрих и единицу от запятой.

Должно соблюдаться строгое различие между строчными (малыми) и прописными (большими) буквами, имеющими одинаковое начертание и различающимися только своим размером: заглавные буквы подчеркиваются черточкой снизу (например, X).

Необходимо тщательно вписывать похожие одна на другую буквы (g и q, l и e, u и n и др.).

7. Литература приводится в конце статьи общим списком (в рецензиях, публикуемых в разделе "Критика и библиография", литература дается в подстрочных примечаниях) в следующем порядке:

Книги: Фамилия и инициалы автора. Название книги. Том. Место издания, издательство, год.

Журнальные статьи: Фамилия и инициалы автора. Название статьи. Название журнала, год, том, номер (выпуск).

Список литературы составляется в порядке упоминания работ в статье. Ссылки на литературу в тексте даются в квадратных скобках (например, [3]).

Библиографическое описание каждого названия в списке литературы должно строго соответствовать титульному листу книги (журнала).

8. Редакция обращает внимание авторов на то, что подготовленный к набору машинописный текст статей и рисунки подписываются авторами "в печать" и корректура для просмотра, как правило, не высылаются.

9. В статье желательно указать, чем отличается предлагаемый результат от ранее известных.

10. В журнале статьи публикуются в порядке поступления в редакцию. В случае возвращения автору статьи для доработки, датой представления считается день получения редакцией окончательного текста. В одном номере журнала может быть опубликована одна статья автора или одно краткое сообщение.

11. В случае отклонения статьи редакция оставляет за собой право не возвращать автору один экземпляр.

12. Рукописи, не отвечающие настоящим правилам, редакцией не принимаются.

გადაეცა წარმოებას 8.07.96; ხელმოწერილია დასაბეჭდად 8.07.95; ქაღალდის ზომა 70x108 1/16; ქაღალდი ოფსეტური; ბეჭდვა ოფსეტური; პირობითი ნაბეჭდი თაბახი 4,9; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,36; ტირაჟი 100; შეკვეთა N 380; ფასი სახელშეკრულებო

ნომ. სიუჟეტზე : 22.50.8 ფუნდამენტული

ნომ. იუნქტამ ილიაძის : ბიბლიოთეკა

:088

380007, თბილისი, ქიქოძის #14, მ.საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

ტელ. 99-68-53, 99-07-02, ფაქსი: 998-389

საწარმოოსაგამომცემლო გეროიანება შეცნობა, თბილისი, 380060, კუტუხოვის ქ. 19

40 281/1



CONTENTS

G. Tsereteli, G. Kiladze
 Optimizational Model, Reflecting the System of Functioning -
 "Production-atmosphere-population" - open type 53

John Conway O'Brien
 Marx's Truly Human Society and the Chiaroscuro of Perfection 59

T. Akubardia
 Neoseignorage or National Income Received by Money Emission 70

P.Gadzadze
 System of Declarations as the Necessary State for Establishing
 Market Economics in Georgia 78

ტომი 2
VOL. 2
TOM 2
N 3-4

1994
76196